ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ

2022 წლის მონაცემებით ონის მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 18 872,9 ათ. ლარი, ნაშთი 2023 წლის 1 იანვრისათვის იყო 6 273,9 ათ. ლარი, 18,6 ათ. ლარი წინა წელს გამოუყენებელი თანხის უკან დაბრუნებაა და მთლიანი დაზუსტებული ბიუჯეტის გეგმამ შეადგინა 25 128,2 ათ. ლარი.

შემოსულობები: 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 18 872,9 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 18 765,2 ათ. ლარი (99%); - აქედან ქონების გადასახადის გეგმა 860,0 ათ. ლარი, ფაქტი - 911,8 ათ. ლარი (106%); დამატებითი ღირებულების გადასახადის გეგმა 6 160,0 ათ. ლარი, ფაქტი - 6 230,6 ათ. ლარი (101%); გრანტების გეგმამ (სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი) შეადგინა 11 250,1 ათ. ლარი, ფაქტი - 10 911,3 ათ. ლარი (97%); სხვა შემოსავლებიდან პროცენტის გეგმა 100,0 ათ. ლარი - ფაქტი 167,9 ათ. ლარი (168%); დივიდენდებიდან შემოვიდა 30,0 ათ. ლარი, გეგმა 30,0 ათ. ლარი (100%); მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გეგმა 160,0 ათ. ლარი - ფაქტი 124,0 ათ. ლარი (78%);; შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან გეგმა 10,0 ათ. ლარი - ფაქტი 13,6 ათ. ლარი (136%); სანებართვო მოსაკრებლების გეგმა შეადგენდა 5,0 ათ. ლარს ფაქტი 8,3 ათ. ლარი (166%); ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა 10,0 ათ. ლარი - ფაქტი 6,5 ათ. ლარი (65%); არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან შემოვიდა 0,1 ათ. ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავების შემოსავლების გეგმამ შეადგინა 50,0 ათ. ლარი - ფაქტი 22,7 ათ. ლარი (45%); ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე შემოვიდა 125,6 ათ. ლარი; შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების გეგმა 5,0 ათ. ლარი - ფაქტი 0; არაფინანსური აქტივების კლების გეგემა შეადგენდა 92,7 ათ. ლარს ფაქტი 43,8 ათ. ლარი (47%).

გადასახდელები: ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის გადასახდელების გეგმამ შეადგინა 25 128,2 ათ. ლარი და ფაქტიურად გაიხარჯა 21 455,7 ათ. ლარი (85%) აქედან:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების დაზუსტებულმა გეგმამ შადგინა 3 279,9 ათ. ლარი - ფაქტი 2 991,4 ათ. ლარი (91%); აქედან წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) ხარჯების გეგმა იყო 868,9 ათ. ლარი - ფაქტიურად გაიხარჯა 850,9 ათ. ლარი (98%); აღმასრულებელი ორგანოს (მერიისა და მასში შემავალი სამსახურების) ხარჯების გეგმა 2 141,2 ათ. ლარი - ფაქტი 2 038,0 ათ. ლარი (95%); სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის გეგმა 100,3 ათ. ლარი - ფაქტი 97,0 ათ. ლარი (97%); სარეზერვო ფონდის გეგმა - 164,0 ათ. ლარი; ასოცირებული საწევრო გადასახადის გეგმა 5,5 ათ. ლარი - ფაქტი 5,4 ათ. ლარი (100%).

ინფრასტრუქტურის განვითარება გეგმა 19 083,6 ათ. ლარი, ფაქტი 15 856,0 ათ. ლარი (83%). აქედან:

- გზების კაპიტალური შეკეთების ხარჯების გეგმა 6 305,0 ათ. ლარი - ფაქტი 5 551,8 ათ. ლარი (88%);
- გზების მიმდინარე შეკეთების გეგმა 369,4 ათ. ლარი - ფაქტი 331,8 ათ. ლარი (90%);
- წყლის სისტემის რეაბილიტაცია გეგმა 723,6 ათ. ლარი - ფაქტი 636,3 ათ. ლარი (88%);
- წყლის სისტემის ექსპლოატაცია 55,7 ათ. ლარი - ფაქტი 53,6 ათ. ლარი (96%);
- გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ხარჯების გეგმა 266,4 ათ. ლარი - ფაქტი 266,4 ათ. ლარი (100%);
- გარე განათების ელექტროენერგიის ხარჯი 211,5 ათ. ლარი - ფაქტი 211,6 ათ. ლარი (100%);

- კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში 4,4 ათ. ლარი - ფაქტი 4,4 ათ. ლარი (100%);

- საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია გეგმა 59,9 ათ. ლარი - ფაქტი 48,2 ათ. ლარი (80%);

- მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია გეგმა 1 599,9 ათ. ლარი - ფაქტი 1 151,4 ათ. ლარი (72%);

- საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია გეგმა 3 014, 1 ათ. ლარი - ფაქტი 1 892,1 ათ. ლარი (63%);

- საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა გეგმა 672,4 ათ. ლარი - ფაქტი 529,4 ათ. ლარი (79%);

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამა გეგმა 767,4 ათ. ლარი - ფაქტი 750,4 ათ. ლარი (98%);

- სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია გეგმა 4 728,3 ათ. ლარი - ფაქტი 4 172,6 ათ. ლარი (88%);

- მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება გეგმა 191,4 ათ. ლარი - ფაქტი 180,0 ათ. ლარი (94%);

- ეკონომიკური განვითარება ბიზნეს კლასტერების შექმნის და ინვესტიციების მოზიდვა გეგმა 295,7 ლარი, ფაქტი 265,3 ლარი (90%);

დასუფთავება და გარემოს დაცვა გეგმა შეადგენდა შესაბამის პერიოდში 577,2 ათ. ლარს, ფაქტი 577,2 ათ. ლარი (100%). აქედან:

- დასუფთავება და ნარჩენების გატანა გეგმა 525,0 ათ. ლარი - ფაქტი 524,9 ათ. ლარი (100%);

- მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება გეგმა 42,2 ათ. ლარი, ფაქტი 42,2 ათ. ლარი (100%);

- უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებები გეგმა 10,0 ათ. ლარი, ფაქტი 10,0 ათ. ლარი (100%).

განათლება: სკოლამდელი განათლება ბაგა-ბაღების დაფინანსების გეგმა 364,0 ათ. ლარი - ფაქტი 351,3 ათ. ლარი (97%);

- სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა 104,0 ათ. ლარი - ფაქტი 91,9 ათ. ლარი (88%);

- განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა 97,0 ათ. ლარი - ფაქტი 94,6 ათ.ლარი (98%);

- საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა გეგმა 168,2 ათ. ლარი - ფაქტი 168,2 ათ. ლარი (100%).

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსების გეგმა 1 082,0 ათ. ლარი - ფაქტი 981,9 ათ. ლარი (91%). აქედან:

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი გეგმა 163,7 ათ. ლარი - ფაქტი 145,7 ათ. ლარი (89%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონი გეგმა 84,0 ათ. ლარი - ფაქტი 80,0 ათ. ლარი (95%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის გეგმა 49,0 ათ. ლარი - ფაქტი 48,2 ათ. ლარი (98%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა გეგმა 53,0 ათ. ლარი - ფაქტი 52,9 ათ. ლარი (100%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის ცენტრის დაფინანსების გეგმა 192,7 ათ. ლარი - ფაქტი 188,3 ათ. ლარი (98%);

- მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაფინანსება გეგმა 70,0 ათ. ლარი - ფაქტი 67,3 ათ. ლარი (96%);

- ბიბლიოთეკის დაფინანსების გეგმა 81,0 ათ. ლარი - ფაქტი 80,0 ათ. ლარი (99%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრის დაფინანსება გეგმა 44,0 ათ. ლარი - ფაქტი 40,6 ათ. ლარი (92%);

- კულტურული ღონისძიებების დაფინანსება გეგმა 228,9 ათ. ლარი, ფაქტი 212,5 ათ. ლარი (93%);

- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა გეგმა 61,7 ათ. ლარი, ფაქტი 13,0 ათ. ლარი (21%);

- მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება გეგმა 54,0 ათ. ლარი - ფაქტი 53,4 ათ. ლარი (99%).

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის გეგმა 372,3 ათ. ლარი - ფაქტი 343,2 ათ. ლარი (92%). აქედან:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება გეგმა 50,0 ათ. ლარი - ფაქტი 40,5 ათ. ლარი (81%);

- სოციალური უზრუნველყოფა გეგმა 322,3 ათ. ლარი - ფაქტი 302,7 ათ. ლარი (94%).

სარეზერვო ფონდიდან მიმდინარე პერიოდში გაიხარჯა სოფელ უწერაში თოვლისა და ძლიერი ყინვის შედეგად დაზიანებილი მდინარე ბეღლორზე წყლის სისტემის სათავე ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოზე 5,0 ათ. ლარი; სოფელ ჭვებარში მცხოვრები ორი სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის სასაჩუქრე კალათების შეძენა 0,2 ათ. ლარი; სპორტსმენთა წახალისებასა და ხელშეწყობის მიზნით (მირიან მაისურაძე, თორნიკე სამხარაძე 500-500 ლარი და გიორგი ჩიხრაძე 300 ლარი) 1,3 ათ. ლარი; უკრაინაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად ჰუმანიტარული ტვირთის: საკვები პროდუქტებისა და პირველადი მოხმარების სხვა ნივთების შესყიდვა 5,0 ათ. ლარი; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები დაუნის სინდრომის მქონე პირთათვის სასურსათო კალათების შესაძენად დაუნის სინდრომის დღესთან დაკავშირებით 0,3 ათ. ლარი; ობოლ ბავშვთა და სოციალურად დაუცველი შშმ პირთათვის (მარტოხელა) სასაჩუქრე კალათების შეძენა 2,4 ათ. ლარი; სკოლის მოსწავლეებთან სალექციო კურსის ფარგლებში გასამართი კოფი ბრეიქისათვის 0,1 ათ. ლარი; დიზაინის მომსახურების შესყიდვა (სახელმწიფო გერბი) 0,2 ათ. ლარი; სოფელ უწერაში მცხოვრები 100 წლის ქალბატონის სასაჩუქრე კალათის შეძენა 0,1 ათ. ლარი; მუნიციპალიტეტში ოფიციალური პირების სტუმრობის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით დაბეჭდილ ბანერს რკინის კონსტრუქციაზე მოწყობა 0,9 ათ. ლარი; 14 ბენეფიციარი ბავშვის მონაწილეობით გამართული ღონისძიებების დროს გაწეული მომსახურების ანაზღაურება 2,6 ათ. ლარი; ფოლკლორის საერთაშორისო საბავშო და ახალგაზრდული ფესტივალი "კავკასია 2022" ღონისძიებისათვის ბანერის, პრიზების, დიპლომების შესაძენად 4,9 ათ. ლარი; ქ. ონში გ. მაისურაძის ქუჩა N1-ში მცხოვრებ პირთა მიერ გახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა 0,7 ათ. ლარი; სოფელ ჭიორაში სოფლის თავში არსებული ხევის კალაპოტის წმენდის და ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაო 10,0 ათ. ლარი; სოფელ სომიწოში იაშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია 28,9 ათ. ლარი; სოფელ სორში დაზიანებული წყალსადენი (მილის) მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები 3,3 ათ. ლარი; სოფელ ირში შიდა სახელმწიფო მნიშვნელობის გზის გასწვრივ სადრენაჟე მილის შეცვლა 8,7 ათ. ლარი; მერიის ბალანსზე რიცხული ავტომობილი "პრადო 150"-ს სახელმწიფო ნომრით WW010AA შეკეთების მიზნით შესყიდვა 1,8 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის (01.01.2023წ.) ნაშთი შეადგენდა 3 573,8 ათ. ლარს. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებიდან 1 453,7 ათ. ლარს და საკუთარი შემოსავლებიდან 2 120,2 ათ. ლარს.

შემსრულებელი: /თინათინ ბროლაშვილი/

/ნინო მეტრეველი/